

ჭყონდიდის ტაძრის გრაფიტოების კოდირება ციფრული გამოცემისათვის

(83 წარწერის კოდირება)

ლიკა ფრიდონაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელის ასისტენტი - თამარ კალხიტაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

07.07.2020

აბსტრაქტი

ჭყონდიდის ტაძარში არსებული ეპიგრაფიკული ძეგლები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მონაპოვარია ჩვენი ენისათვის. საუკუნეების მანძილზე არაერთი მეცნიერი იკვლევდა აქ არსებულ წარწერებს, რომლებიც წარმოდგენილია ბეჭდური გამოცემის სახით. ახლა კი უკვე შესაძლებელი გახდება ეპიგრაფიკული კორპუსის მეშვეობით ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული მასალის შესწავლით, ნახოს მისთვის სასურველი ინფორმაცია დისტანციურად.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში, ძირითადად, ვხელმძღვანელობდი ვალერი სილოგავას წიგნით „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, რომელიც, ვფიქრობ, ჩემი თემის ირგვლივ, შეიცავს ყველაზე კომპლექსურ ინფორმაციას. ნაშრომი მიზნად ისახავდა, ჭყონდიდის ტაძრის გრაფიტოების კოდირებას ციფრული გამოცემისათვის, ამისათვის კი ვიხელმძღვანელე TEI-სა და EpiDoc-ის გაიდლაინებით. ციფრული დოკუმენტების შესაქმნელად კი თითოეული წარწერის აღწერა მოხდა XML ფაილში, რომელიც პარალელურად დაკავშირებულია EAGLE Europeana-სთან (გარე კონტროლირებად ლექსიკონთან).

კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე სტანდარტების გამოყენებით XML ფაილის შედგენა და მასში წარწერის მეტამონაცემების სრულყოფილი განთავსება საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, რომელსაც აინტერესებს აღნიშნული სფერო, სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის გამოყენებით ადადგინოს ორიგინალი ტექსტი.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ჰუმანიტარია, EpiDoc-ის გაიდლაინები, TEI, XML, ციფრული ეპიგრაფიკა.

Abstract

Epigraphic monuments existed in the Chkondidi cathedral are very interesting and important acquisitions for our language. Over the centuries, various scholars have studied the inscriptions in the cathedral, which are presented as printed edition. Now the epigraphic corpus has made it possible for everyone interested in studying these materials, see all the necessary information remotely.

In the research process for the master's thesis I was mainly guided by Valeri Silogavas's book "Georgian Epigraphy of Samegrelo-Abkhazia", which I think contains the most complex information around my thesis. The thesis aims to codify the graffiti of the Chkondidi cathedral for digital publication, for this I was guided by the guidelines of TEI and EpiDoc. To create digital documents, each caption was described in an XML file that is linked to EAGLE Europeana.

As a result of the research, we can say that compiling the XML file by using modern standards and the perfect placement of metadata in it, allows anyone interested in this field to restore the original text using the Internet without leaving home.

Keywords: Digital humanities, Guidelines of EpiDoc, TEI, XML, Digital epigraphy.